ახალგაზრდობის მთელი ენერგია — ხუთწლედს!

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ივნისი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 133 (15650)

ზომკავშირის ცენტრალური ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის სულისკვეთებით, ახალგაზრდობაში აქტიური პროპაგანდა გაუწიოს სოციალისტური წყობილების წარმატებებსა და უპირატესობებს, მიაღწიოს, რომ თვითეული ახალგაზრდა იყოს ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი.

(სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან).

კომკავშირული გულით!

შენ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელი ხარ. და სწორედ იმაზე, თუ როგორი მშენებელი იქნები, რა წვლილს გაიღებთ შენ და შენი ამხანაგები ამ მხრივ, ბევრად არის დამოკიდებული ჭეშმარიტად ნათელი და ხანუკვარი მომავლის შექმნა.

დიახ, შენ ახალგაზრდა წევრი ხარ ჩვენი დიადი ქვეყნის, ჩვენი მრავალეროვანი ერთიანი ოჯახისა, რომელსაც საფუძველი დიდმა ლენინმა ჩაუყარა. და პირადად შენზე, შენს ამხანაგებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რომ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო მუდამ ჰყვაოდეს, მტკიცდებოდეს, ძლიერდებოდეს როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

ჭაბუკი ხარ თუ ქალიშვილი, ცხოვრობ სოფლად თუ ქალაქად, მეტალურგი ხარ თუ მეჩაიე, ზენიკალი თუ მევენახე, მშენებელი თუ ხტუდენტი, მეცნიერი, მოსწავლე, პოეტი თუ მსახიობი, მუშაობ ტრანსპორტზე თუ სავაჭრო დარგში — ერთი სიტყვით, შენი სახელი კომკავშირელია და ერთი კეთილშობილური გრძნობით ხარ ანთებული: მაღლა ეკვირის თაობათა სახელოვანი ესტაფეტა, ღირსეულად ატარო შენი უფროსი მზრუნველისა და მეგობრის — კომუნისტის — მებრძოლი თანაშემწის სახელი.

საბჭოთა ახალგაზრდობას უყვარს სწავლა და შრომა. ლენინური კომკავშირის მთელი ისტორია, მისი გზა — ეს არის პარტიის საქმისთვის თავდადებული ბრძოლისა და შრომის მოუსვენარი გზა. კომკავშირელებისთვის, ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის ცხოვრების განუხრელ კანონად იქცა ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომაში შეიძლება გახდნენ ისინი ნამდვილი კომუნისტები.

და ეს მეცხრე ხუთწლედიც, მისი ეს მესამე გადამწყვეტი წელიც, რომლის ნახევარი უკვე იცვა, მოწმეა ჩვენი ახალგაზრდობის გმირული საქმეებისა, მრავალი სასარგებლო ინიციატივისა თუ თაოსნობისა.

საქართველოს კომკავშირი ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. სახელოვან ტრადიციებს რომ აგრძელებენ, რუსეთის ჭაბუკები და ქალიშვილები ამყამად მუდმივ შემოქმედებითს ძიებაში არიან, იღვწიან, რომ რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

სწორედ ამ ხუთწლედში გაიმართა დამკვრელერო კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შრომითი ესტაფეტა, რომელიც პირველად ზაპესში დაიწყო და საქართველოს ყველა კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობა მოიარა.

მოწყო აგრეთვე ახალგაზრდობის შაბათობები, რომლის დროსაც გამომუშავებული მილიონობით მანეთი მეცხრე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა, გამწვანდა ასობით ჰექტარი ფართობი, კეთილმოეწყო გზები და პარკები, გაშენდა ბაღები და გაზონები...

საქართველოს ახალგაზრდობის ასობით წარგზავნილი მუყაითად შრომობს საკავშირო ობიექტებზე. დიდია ახალგაზრდა რაციონალიზატორებისა და ტექმიგონებლების წინადადებათა წარმოებაში დანერგვით მიღებული ეკონომიური ეფექტი. გააქტიურდა მოძრაობა „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება!“: ყარგად გაიხარჯნენ ხუთწლედის ამ ორნახევარ წელიწადში ჩვენი კომკავშირელი მეჩაიეები, მევენახეები, მეცხოველეები და მესიმინდეები, ენერგიული მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ახალგაზრდა მშრომელები.

დღეს... დღეს კი შენ, საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქევ, ხუთწლედის ამ გადამწყვეტი წელიწადის მეორე ნახევარი ახალ პასუხსაგებ საქმეებისაკენ გიხმობს და მოგიწოდებს. სწორედ ამიტომ აჩაღებ ასე ფართოდ სოციალისტურ შეჯიბრებას, იჩენ ახალ თაოსნობასა და ინიციატივას. ამის ერთერთი დასტურია ის, რომ ახლა რესპუბლიკაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ასი ათასობით ახალგაზრდა, რომელთა შორის 40 ათასზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

ამას წინათ კიდევ ერთი ახალი თაოსნობა დაიბადა. ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროთა საამმართველოს ჯუმბერ ბახტურიძის გვიარაბგამყვანთა ახალგაზრდულმა ცვლამ ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადა. კომკავშირულ ორგანიზაციებში ახლა გაცხარებული მუშაობაა, რომ განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩაატარონ ეგრეთწოდებული „შრომითი სემესტრები“.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს და კიდევ ბევრი სხვა გაწეული მუშაობა კარგია და კმაყოფილებას გვანიჭებს, მაგრამ საჭიროა უფრო ფხიზლად, კრიტიკულად შევიფასოთ განვლილი და გავჩაღოთ ყოველმხრივ დამკვრელური, შეტევი მუშაობა.

როგორც ფაქტები მეტყველებენ, როგორც ამას საქართველოს კომპარტიის უკანასკნელ ხანს გამართულ პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე საქმიანი, მეტად პრინციპული ანალიზი გაუკეთდა, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში არასახარბიელო სურათია. უკანასკნელ წლებში დამკვიდრებულმა სუბიექტივიზმმა და ვოლუნტარიზმმა ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა ბევრ დანაშაულობასა და დარღვევებს, ბევრ ნაკლსა და ხარვეზს. ეი ნი გამოსწორებისაკენ არის საჭირო მიმართოთ ახლა თქვენი ახალგაზრდული ენერგია, თქვენი ჭაბუკური მარჯვენა და მგზნებარე გული. აი რისკენ მოუწოდებს ახალგაზრდობას ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. და ყოველგვარი ნაკლისა და ხარვეზის ამოძირკვა, ჭეშმარიტი პატიოსანი და შემოქმედებითი მუშაობის გაშლა ხომ მთავარი პირობაა ხუთწლედის დავალებათა წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლის გზაზე! საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის ის მითითება, რომ „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას“.

წელს ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა უბანზე მჩქეფარე მუშაობა ჩადდება, მეტად სახიამოვნო და სახიეთო გარდაქმნები ხდება. საქართველოს ყველა კომუნისტთან ერთად, თვითეული კომკავშირელი და ახალგაზრდა, ყველა მშრომელი კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაირაზმოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და ბუნების ჭირვეულობისა და სხვა სიძნელეთა მიუხედავად წარმატებით შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი.

ერთი სიტყვით, შენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობარო, შენი „გულის, სულის ნაწილი უნდა ჩააქსოვო“ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებას!

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ნეპალის ელჩი

6 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო ნეპალის ელჩი საბჭოთა კავშირში ჯაგდიშ შამშერ ჯანგ ბაჰადურ რანი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ნეპალის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საგრთაშორისო პრობლემას. (საკდესი).

მოწინავე კომკავშირლები — დეპუტატობის კანდიდატები

ბარდავნის რაიონის მშრომელები დიდმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელს, მევენახეობის ბრიგადის მუშის მანანა სისაურის შრომითს შედეგებს ყოველ წელს ქებით იხსენებენ. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მანანა სისაური ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილი ვენახის ფართობი ისე დაამუშაოს, რომ ჰექტარზე გაანგარიშებით უზრუნველყოს 60 ცენტნერი ყურძნის მიღება ნაცვლად 35 ცენტნერისა. ხუთი თვის შედეგების მიხედვით იგი შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. მასზე მოსავლელად მიჩენილი ვენახი სანმუშოდ არის დამუშავებული, ვაზს კარგად ასხია. მისი შრომა მისაბაძია სხვა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის, იგი დაუსწრებლად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

მეურნეობის კოლექტივმა მანანა სისაურს დიდი ნდობა გამოუცხადა: იგი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

სურათზე: მ. სისაური.

ვ. გოგოხიას ფოტო.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია კომკავშირელი გულიკერ ჯებაშვილი. ეს დიდი პატივი ახალგაზრდა მუშამ თავდადებული შრომით მოიპოვა. მისი ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის № 8 საამქროში. ბრიგადის წევრებს შრომის კარგ მაგალითს თვით ბრიგადირი აძლევს — ყოველი ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებს.

გ. ჯებაშვილის ბრიგადა კომპლექსურია და კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს.

სურათზე: ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომუნისტურრ შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჯებაშვილი.

ხ. ბილაძის ფოტო.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნანა ალექსანდრიას ყველაფერი ძალზე იოლად გამოუდის — თქროს მედალი სკოლაში, დიპლომი უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შესახებ, ბევრი პირველი ჯილდო საერთაშორისო ტურნირებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის 3 ოქროს მედალი, მსოფლიოს № 3 მოჭადრაკის ნიშანი. მაგრამ ეს გარეგანი „სიიოლე“ ვერ ფარავს მთავარს — უაღრესად კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას საკუთარი საქმისადმი, შრომას, შეუპოვარ შრომას. ახლა ამას ახალგაზრდა ოსტატის დიდი საჭადრაკო ნიჭიც რომ დავუმატოთ.

მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა 1975 წელს უნდა დაიცვას თავისი წოდება. ვინ იქნება მისი მეტოქე? ძალიან ძნელი სათქმელია. ახლა კონკურენცია გამწვავდა, ბრძოლა გაძნელდა, ნაგრამ ნანას ამ შეჯიბრებაშიც ჩინებული პერსპექტივები აქვს.

სწორედ ამ შესანიშნავი წარმატებების გამო, მაღალი მოქალაქეობრივი ღირსების გამო გამოუცხადეს ნანას დიდი ნდობა — დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს! სურათზე: ნ. ალექსანდრია.

ძმოგის, გულითადობის ვითარებაში

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში დანგ კუანგ მინმა 6 ივნისს დარბაზობა გამართა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის მე-4 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სტუმრებს შორის იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვო თუკუ დონგი, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დამსწრეთ მიმართა დანგ კუანგ მინმა. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის მეთხუთე წლისთავს, თქვა მან, ჩვენ ვდღესასწაულობთ ვითარებაში, როცა ხელმოწერილია პარიზის შეთანხმება და პირველად 115 წლის ისტორიის განმავლობაში ვიეტნამის მიწა-წყალზე არ არიან უცხოეთის საოკუპაციო ჯარები.

ეს ვიეტნამელი ხალხის, ინდოჩინეთის ხალხების ისტორიული გამარჯვებაა. ელჩმა უღრმესი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და ხალხს, სხვა მოძმე ქვეყნებს დიდი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი მ. ს. სოლომენცევი. მან გულითადად მიუფოცა ვიეტნამელ ამხანაგებს შესანიშნავი დღესასწაული. განვლილ წლებში, თქვა მან, სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებმა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის ნაცადი ხელმძღვანელობით დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს. პარიზის შეთანხმებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაში თავისი ქვეყნის პოლიტიკური პრობლემების სამართლიანი გადაჭრისათვის, ახალი შესაძლებლობანი დასახა სამხრეთ ვიეტნამის განვითარებისათვის დემოკრატიის, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის გზით, ხელშემწყობი პირობები შექმნა ვიეტნამის თანდათანობით გაერთიანებისათვის.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო ორატორმა, ხოლიდარულია ვიეტნამელი ხალხისადმი და ყოველნაირად შეუწყობს ხელს ინდოჩინეთში მშვიდობის დამყარებას. „ვიეტნამისათვის მხარდაჭერა, —ამბობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, — ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა. ეს ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო საქმეა“. ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის კურსი, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მოიწონა, კვლავ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა.

მ. ს. სოლომენცევმა დანგ კუანგ მინს მიუფოცა მაღალი საბჭოთა ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომლითაც აღნიშნულია მისი დამსახურება პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

დარბაზობამ ძმურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-563“

1973 წლის 6 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-563“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ხაკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება დაავალოს შესაბამის საბჭოთა ორგანიზაციებს დადგენილი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ანაზღაუროს საფრანგეთში მომხდარი „ტუ-144“ თვითმფრინავის ტრაგიკული გამოწვეული ზარალი და გამოჰყო 500 ათასი ფრანკი დაზარალებული მოსახლეობისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.

,,ავტოსერვის-73“ გამოფენამ მუშაობა დაამთავრა

6 ივნისს მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მოსკოვის „სოკოლნიკის“ პარკში მოწყობილმა საერთაშორისო გამოფენამ „ავტოსერვის-73“. მსოფლიოს 25 ქვეყნის ასობით ფირმამ, საწარმოსა და ორგანიზაციას აქ გამოტანილი ჰქონდა ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები და ნაამისო მოწყობილობა.

საერთაშორისო გამოფენაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

გამოფენის უდიდესი ექსპონენტი იყო საბჭოთა კავშირი. ჩვენი ქვეყნის საავტომობილო მრეწველობა მეცხრე ხუთწლედში დაჩქარებული ტემპებით ვითარდება. ამასთან დაკავშირებთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ავტოსერვისის თანამედროვე დონეზე მოწყობას. სსრ კავშირის ექსპოზიცია ასახავდა, თუ როგორ ყოდება. ეს ამოცანა ჩვენს ქვეყანაში. 50 სამინისტროსა და უწყების სამასზე მეტ საწარმოსა და ასამდე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და საკონსტრუქტორო ბიუროს გამოტანილი ჰქონდათ თავიანთი ნამუშევრები ამ დარგში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ექსპონატები. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ექსპოზიციებში ასახა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის თემა.

უახლესი საკარაჟო, დიაგნოსტიკური და საკონტროლო-მართველირებელი მოწყობილობა, ტექნიკური მომსახურების სადგურები. მანქანების შეკეთებელი სპეციალური მექანიზმები და მოწყობილობანი, ელექტროელექტროწყობები, სხვადასხვა ინსტრუმენტი, სალტების აღსადგენი მოწყობილობა — აი არასრული ნუსხა ექსპონატებისა, რომლებიც მოსკოვის დათვალიერებაზე წარმოადგინეს ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, ინდოეთის, ესპანეთის, იტალიის, კოლუმბიის, ნიდერლანდის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, შვეციის, იაპონიის ფირმებმა.

ამერიკის ექსპოზიცია „ავტოსერვის-73“ გამოფენაზე მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრომ, რაც ადასტურებს სწრაფვას ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის გააქტიურებისადმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამსანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოფენის მონაწილე ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა აზრით, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების შემდგომ გაფართოებას.

გამოფენაზე მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური სიმპოზიუმი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყო. საბჭოთა სპეციალისტები შეხვდნენ საზღვარგარეთელ კოლეგებს, გაუზიარეს მათ ახალი მოწყობილობის შექმნის, ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების გამოცდილება, განიხილეს ავტოსერვისის განვითარების შემდგომი პერსპექტივები.

„ავტოსერვის-73“-ის კომერციულ ცენტრში კონტრაქტებს დებენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებანი და გამოფენის მონაწილე სხვა ქვეყნების ფირმები და ორგანიზაციები.

გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სპეციალისტთა და ავტომოყვარულთა ფართო წრეში. „ავტოსერვის-73“ დაათვალიერა 500 ათასამდე მოსკოველმა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულმა სტუმარმა. გამოფენის ექსპოზიციას გაეცნო 150 ათასზე მეტი სპეციალისტი. (საკდესი).

ახალი ეტაპი საარჩევნო კამპანიაში

ამომრჩეველთა უფლებრივი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებთან

17 ივნისი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

საარჩევნო კამპანიაში დადგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი: რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში იმართება ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. მუშები, მიწათმოქმედნი, ინტელიგენციელნი ხვდებიან იმათ, ვისაც ისინი თავიანთ წარმომადგენლებად გზავნიან ხელისუფლებას ხელმძღვანელ ორგანოებში. ეს შეხვედრები ყველგან მიმდინარეობს გულითადობის ვითარებაში.

დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები ყველგან იქცევა პარტიისა და ხალხის ერთიანობის, იმ მხურვალე მისწრაფების დემონსტრაციად, რომ ყველფერი იღონონ, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ქალაქ თბილისის №580 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები გულითადად შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში ამ ოლქისაგან დეპუტატობის კანდიდატს — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს პ. გილაშვილს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სოლო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ავიჭის კომბინატ „ბანთიადის“ მოწინავე მუშამ ტ. მანუკოვმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით მიმდინარეობს მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ჩვენი ქალაქის მშრომელები, თქვა მან, ახალ შრომითს სარეკორდს უმზადებენ არჩევნების დღეს. მან მოიწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს პ. გილაშვილს.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს — კომუნისტური შრომის დამკვრელს ნ. საძაგლიშვილს. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. და გამოთქვა რწმენა, რომ ოლქის ამომრჩევლები არჩევნების დღეს ხმას მისცემენ პ. გილაშვილს.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ამომრჩევლები ა. ხოკერაშვილი, ტ. ბოიარსკაია, ჯ. ბერაძე, ნ. როგენკოვი, ს. კიშოიანი. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას და გამოთქვეს რწმენა, რომ პ. გილაშვილი ღირსეულად გაამართლებს ამ მაღალ ნდობას.

საპასუხო სიტყვაში დეპუტატობის კანდიდატმა პ. გილაშვილმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ოლქელებს, რომელმაც დაასახელა მისი კანდიდატურა.

• • •

ბორჯომის სახელობის კოლტურის სახლში განლაგებულია № 3 საარჩევნო ოლქი. აქ ამომრჩევლები შეხვდნენ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — ბუჭდვითი სიტყვის კომბინატის მეინჟინერ ა. ბურბანიძეს, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს ზ. ციციშვილს, მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — 30-ე საშუალო სკოლის დირექტორს ო. პატარაიას, მოდელების სახლის მეერავს კ. ესაიანს, თბილისის „წყალხელსაწყოების“ ქარხნის მუშას გ. გიორგაძეს, № 1 სამექანიკოლო ფაბრიკის მეერავს ნ. ახალაძეს, ფიერადი ბეჭდვის კომბინატის მუშას დ. სვანიძეს, ეკონომიკური უნივერსიტეტის გამყიდველს დ. დარბაისელს.

შეხვედრა გახსნა თბილისის ფოსტამტის უფროსმა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ბაბიტაშვილმა. მან თქვა, რომ მრეწველობის მშრომელები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკები, კულტურის მოღვაწეები მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თავისრების ბრძნულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ნდობით აღჭურვილი პირნი თ. მაჩიტაძე, ტ. ციცერონი, ა. ალაურიძე, ს. ალანდადაძე, ვ. ცარეგანი, ი. ბოძიე, კ. ურბანაძე. მათ ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატები დაახასიათეს როგორც მოწინავე საზოგადოების ენერგიული მშენებლები და, მოიწოდეს ხმა მისცენ მათ არჩევნების დღეს — 17 ივნისს.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ნ. ხომასურიძემ, შ. ხაინდრავამ, მ. აბოვიანმა და სხვებმა.

დეპუტატობის კანდიდატებმა ზ. ციციშვილმა და ო. პატარაიამ მადლობა გადაიხადეს ნდობისათვის. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 6 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პონტანტინე ნიკოლოზის-ძე გრიზინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ვიზიტი მუვიდუბისათვის

უკვე კარგა ხანია არც ერთ მოვლენას არ გამოუწვევია ამერიკის საზოგადოებრიობის ესოდენ დიდი და ესოდენ კეთილმოსურნეობითი ყურადღება, როგორიც გამოწვეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი, რომლებიც ბევრ პრობლემაზე საპირისპირო თვალსაზრისს ადგანან, ამჯერად, სრულიად უეჭველია გამონაკლისის გარდა, ერთსულოვანი არიან და ამ ვიზიტზე ამყარებენ დიდ იმედებს, რომლებიც დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე ხალხთა შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებთან.

უდიდესი დაინტერესებით მოელიან საპატიო საბჭოთა სტუმრის ჩამოსვლას ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის ფართო საქმიანი წრეები. „ჩვენ მოუთმენლად მოველით ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლას და დარწმუნებული ვართ, რომ მისი ვიზიტი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც შეერთებულ შტატებს, ისე საბჭოთა კავშირს“, — თქვა, მაგალითად, ჩიკაგოს მსხვილი სამრეწველო კომპანიის „აი-სი ინდასტრისის“ პრეზიდენტმა უილიამ ჯონსონმა, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ „ცივი ომის“ აისბერგები სრულიად გადნა საერთაშორისო ურთიერთობის ოკეანეში. შეერთებულ შტატებშიც არიან გარკვეული ძალები, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ უკუმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, მოითხოვენ „ძალის პოზიციის“ დიდი ხანია გაკოტრებული პოლიტიკის გამოყენებას სსრ კავშირის მიმართ, ცდილობენ სხვადასხვა სულელური საბაბით ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ატმოსფერის გაჯანსაღებას, მაგრამ დღეს უკვე ეს ძალები როდი იძლევიან ჩონს ოკეანის გაღმა.

და ამერიკის პრესის ორგანოების დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ რ. ნიქსონთან ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი მოლაპარაკება იქნება ნაყოფიერი განკარძობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის დიალოგისა, რომელიც შარშან მაისში დაიწყო მოსკოვში, და მოიტანს ახალ კონკრეტულ შედეგებს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. (საკდესი).

ᲞᲠᲔᲡᲘ მიღება გ. ჰუსაკთან

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა დღეს პრაღაში მიიღო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVII სესიაზე წარმოგზავნილი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

მიღებაზე, როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის, ისე სხვა ქვეყნების დელეგაციათა შეთაურნი, იყვნენ საბჭოთა დელეგაციის შეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციათა შეთაურები, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის შეთაური.

გ. ჰუსაკი გულთბილად მიესალმა დელეგაციათა ხელმძღვანელებს და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVII სესიას სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში. მეგობრული საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის დღის წესრიგში დგას.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ლ. ᲨᲢᲠᲝᲣᲒᲐᲚᲗᲐᲜ

ᲠᲐᲞᲐᲚᲐ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეთან ლ. შტროუგალთან. მათ განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ ორივე ქვეყნის მონაწილეობის საკითხებზე.

ᲐᲮᲚᲐᲡᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘᲗ

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ XXVII ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲖᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ

ᲠᲐᲞᲐᲚᲐ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი გუშინ აქ შეხვდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩს. საუბრის დროს, რომელიც ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის, აგრეთვე სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის საკითხები.

* * *

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჟ. ფოკს. გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის, აგრეთვე სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში ორივე ქვეყნის მონაწილეობის საკითხებზე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინისა და ჯუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის კ. რ. როდრიგესის შეხვედრაზე, რომელიც 6 ივნისს გაიმართა, გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში განიხილეს საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის საკითხები. განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დასმულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 27-ე სესიის დღის წესრიგში.

* * *

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ **გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მოადგილის ა. ვრატუშას შორის. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის საკითხებზე.**

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). სრული ურთიერთგაგებისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობს პრაღაში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 27-ე სესია. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის დელეგაციები განიხილავენ თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამების დებულებათა განხორციელების საკითხებს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცვეტანოვის გამოსვლაში დაანალიზა კომპლექსური პროგრამის განსახორციელებლად კოლექტიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი. მან საჭიროდ ცნო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს გეგმიანი საქმიანობის დარგში თანამშრომლობის კომიტეტის როლის გაძლიერება.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ჟ. ფოკმა თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო მანქანათმშენებლობის დარგში თანამშრომლობის პრობლემებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ფინდერმანმა აღნიშნა, რომ შედარებით მოკლე პერიოდში, კომპლექსური პროგრამის მიღების შემდეგ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა შეძლეს დიდად გაეაქტიურებინათ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალის გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის გეგმიან რეგულირებას.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ცალკეული წევრი ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმები უნდა შეადგენდნენ მთელი ჩვენი თანამეგობრობის ეკონომიური განვითარების ერთიან შეთანხმებულ ფართო გეგმას, თქვა თავის გამოსვლაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იაროშევიჩმა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სესიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განსაზღვროს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ინტეგრაციის პროგრამის კიდევ უფრო ინტენსიური განხორციელების გზები.

სხდომის დასასრულს ქამოვიდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანი ნ. ვ. ფადეევი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა შემადგენლობა საბჭოთა კოსმოსური ეკიპაჟებისა, რომლებიც ივარჯიშებენ, რომ მონაწილეობა მიიღონ კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა“ და „აპოლონის“ პირველ ერთობლივ ფრენაში, რომელიც 1975 წლის შუა ხანებისათვის არის დანიშნული.

ახალი ამბების საავტორო მეცნიერმა მიმომხილველმა ᲘᲠᲘᲜᲔ ᲚᲣᲜᲐᲩᲐᲠᲡᲙᲐᲘᲐᲛ სთხოვა საბჭოთა კოსმონავტების მომზადების ხელმძღვანელს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, ავიაციის გენერალ-მაიორ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲨᲐᲑᲐᲚᲝᲕᲡ კომენტარი გაუკეთოს ამ ცნობას და პასუხი გასცეს რამდენიმე კითხვაზე.



„ᲡᲝᲘᲣᲖᲘ“ ᲓᲐ „ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘ“: ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

— ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ-ᲫᲔ, საბჭოთა კავშირმა რატომ უნდა ამზადოს ოთხი ეკიპაჟი, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ორს მოამზადებენ?

საქმე ის არის, რომ კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა“ და „აპოლონის“ შეპირაპირებისა და ერთობლივი ფრენის ჩატარების გეგმის თანახმად საბჭოთა კავშირი ამზადებს ორ ხომალდს, ხოლო ამერიკის მხარე — ერთს. ასეთი გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ „სოიუზი“ ორბიტაზე გაიყვანილ უნდა იქნას პირველი, ხოლო „აპოლონი“ 7,5 საათის შემდეგ. მაგრამ ხომ არავის შეუძლია იმის გარანტირება, რომ „აპოლონის“ სტარტი ზუსტად იქნება დაცული. მართალია, ორბიტაზე ლოდინის შესაძლებლობა და ხომალდ „აპოლონის“ გაშვება მეორე და შემდეგ დღეებშია გათვალისწინებული, მაგრამ არ შეიძლება გამორიცხულ იქნას სტარტის თარიღის გადატანა ან პირველ ხომალდ „სოიუზთან“ შეპირაპირების განხორციელების შეუძლებლობა რაიმე მიზეზებით. ამიტომ პროგრამაში შეტანილია ალერეული ვარიანტი მეორე, სტარტისათვის მზა ხომალდ „სოიუზისა“, რომელიც შეიძლება გაფაფინულ იქნას ორბიტაზე საჭიროების შემთხვევაში. მსგავსად პირველისა, იგი აღჭურვილი იქნება ყველა აღრეკილებით და სისტემებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დაახლოებას, მიდგომას, აგრეთვე შეპირაპირების შეთვისებადი სიშფალებებით. ამრიგად, საჭიროა გეგონდეს ორ-ორი ეკიპაჟი — ძირითადი და მადუბლირებელი — თვითეული ხომალდისათვის, საკუთრივ მომზადებული ამ რთული ოპერაციის შესასრულებლად. იგი იმდენად რთულია, რომ, ორივე ქვეყნის სპეციალისტთა საერთო აზრით, მოითხოვს ორ წელიწადს ეკიპაჟების მოსამზადებლად, ამასთან არა მარტო თავიანთი ვალერებები, არამედ ერთობლივ ფრენთანაც. გარდა ამისა, იმედი გვაქვს, რომ მომავალი შეპირაპირება და ფრენა ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან იქნება პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი ერთობლივი მეშაობა და ამიტომ საჭირო იქნებიან სპეციალურად მომზადებული ადამიანები.

— გვიამბეთ, თუ შეიძლება, ეკიპაჟების წვრთნის შესახებ. რა იქნება მისი შინაარსი?

— თავიანთი ხომალდის კონსტრუქციის უნაკლო ცოდნა გარდა, კოსმონავტებმა უნდა იცოდნენ ერთობლივ მეშაობაში მონაწილე ორივე კოსმოსური ხომალდის ძირითადი სისტემები და შეიძლოთ ამ სისტემების ექსპლოატირება ფრენაში. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ერთობლივი ფრენისას და მეცნიერული ექსპერიმენტების ჩატარების დროს როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელი ეკიპაჟები მტკიცედ გრძნობდნენ თავს, იყონ თანასწორუფლებიანი წევრები და მონაწილეები ერთიანი კოსმოსური სისტემის მეშაობისა, რომელსაც ქმნიან ხომალდები შეპირაპირებისა და ერთობლივი ფრენის დროს. სტუმრები და მაყურებლები კოსმოსში არ არიან: ყველანი არა მარტო უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, არამედ მზადაც იყონ დაეხმარონ ამხანაგს და კიდეეც ალერეონ იგი საჭიროების დროს, იქნება ეს „სოიუზისა“ თუ „აპოლონის“ ეკიპაჟის წევრი. ხომ არაფის. არ შეუძლია გამორიცხოს შესაძლებლობა ფრენის დროს ხომალდის ბორტზე რაიმე გაუთვალისწინებელი ან, როგორც ჩვენ ვამბობთ, „უშტატო სიტუაციის“ წარმოშობისა.

მაგალითად, ხომალდ „აპოლონზე“ ფრენისათვის ამერიკის ეკიპაჟების მზადებისას „გათამაშდება“ 1500-მდე ასეთი სიტუაცია. და თვითეული მათგანის დროს კოსმონავტი უნდა მიხვდეს, რა არის თვითეული უწესივრობის მიზეზი, სად უნდა ეძებოს იგი, და იცოდეს, როგორ გამოსწოროს უწესივრობა. ამიტომ ტრენაჟერებზე ვარჯიშის დროს, რომლებითაც იმიტირებულია კოსმოსური ხომალდის სისტემა, ჩვენ ხელოვნურად ვქმნით სხვადასხვა ავარიულ სიტუაციებს, ამა თუ იმ მოწყობილობის მოშლას. ამან უნდა გამოუმუშაოს კოსმონავტებს იმის უნარი, რომ ანალიზი გაუკეთონ ვითარებას, იმის ჩვენებით, რომ შეასრულონ საჭირო ოპერაციები უწესივრობის თავიდან ასაცილებლად. ეს შეიძლება იყოს მადუბლირებელი სისტემების ჩართვა მწყობრიდან გამოსულთა ნაცვლად, დაბრუნება საშეალებათა გამოყენება და ასე შემდეგ. შერეული ეკიპაჟების შემადგენლობაში საჭირო ოპერაციების შესრულება, ბუნებრივია, მოითხოვს ხომალდების მართვის ცოდნასა და უნარს.

გარდა ამისა, ბორტზე უნდა იყოს კარგად მოფიქრებული და შეთანხმებული დოკუმენტაცია, რომელიც ერთნაირად ასახავდა იქნება ეკიპაჟის ყველა წევრისათვის. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია დროის დეფიციტისას, ვინაიდან ავარიული სიტუაციები უეცრად წარმოიშობიან და ხანგრძლივი ფიქრის უფლებას არ იძლევიან. ასეთი დოკუმენტაციის შემუშავებაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ ეკიპაჟების წევრები.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ იცოდნენ პარტნიორების ენა, და არა უბრალოდ უცხო, სასაუბრო მეტყველებაში მიღებული ენა, არამედ სპეციფიკური, რომელიც ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებისათვის არის ცნობილი, თუ. ვნებავთ პროფესიული ჟარგონი. აქ არის სხვადასხვა ტერმინებიც, პირობითი აღნიშვნები და შემოკლებანი, ისეთი სიტყვებიც, რომლებიც არც ერთ ლექსიკონში არ არის, მაგრამ მტკიცედ შეთვისებული აქვთ სპეციალისტებს. ამ სპეციფიკური ენის მხოლოდ ორიეკ მხარის მეიერ ცოდნა ადვილსა და შეუცდომელს ხახდის ეკიპაჟების ურთიერთობას, გამორიცხავს გაუგებრობას, რომელიც შეიძლება ძვირი დაჯდეს მეწარე მგზავრობათა შემნნის შემთხვევაში. ამიტომ ჩვენ შეთანხმდით ვაკეცალოთ მაგნიტოფონის ჩანაწერები ჩვენი ხომალდების ეკიპაჟების მოლაპარაკებისა დედამიწის სამსახურებთან ვარჯიშის და რეალური ფრენის დროს.

— როგორია ზოგადად პირველი ერთობლივი ვარჯიშის პროგრამა?

— იგი შეთანხმებულ იქნა მეშაჯერების ოკანასკნელი შეხვედრის დროს ჰიუსტონში ამა წლის მარტში.

ამერიკელი სპეციალისტები ეკიპაჟების წევრებს წაკითხავენ ლექციებს ხომალდ „აპოლონის“ ტალეტიკურ სისტემებსა და ატმოსფეროს შემადგენლობაზე, ბინადრობა, სადაც წევია და ატმოსფეროს შემადგენლობა დედამიწისან შეიესაბამება, გადავიდნენ „აპოლონში“, რომლის კაბინაშიც წევია შეადგენს ფერცლოსწყლის სიტის 260 მილიმეტრს, ხოლო ატმოსფერო წმინდა ჟანგბადისაგან შედგება, და დაბრუნდნენ უკან.

გარდა ამისა, კოსმონავტები ჩატარებენ ვაცნობისათვის ვარჯიშს კომპლექსურ ტრენაჟერზე, რომელიც ხომალდ „აპოლონის“ სრულ იმიტაციას წარმოადგენს.

ერთობლივი ვარჯიში, რაც დასახულია 1973 წლის ივლისისათვის, 30 დღეს გაგრძელდება.

დასასრულ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კოსმონავტებს, ისე როგორც მომავალი შეპირაპირებისა და ერთობლივი ფრენის მომზადებისა და ჩატარების ყველა ორგანიზატორსა და მონაწილეს, ესმით, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მეშაობას კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით ათვისებაში.

ეს ერთობლივი ექსპერიმენტი ისახავს უაღრესად ჰუმანურ მიზანს — უსაფრთხოო გახადოს კოსმოსური ფრენა, შექმნას იმის შესაძლებლობა, რომ დახმარება გაეწიოს ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩენილი კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟს, იმის განურჩევლად, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის იგი.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები, ისევე როგორც ინჟინრები, მალე გამონახავენ საერთო ენას და ნაყოფიერად იმუშაკებენ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს თავმჯდომარეობით ელისეს სასახლეში გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა.

მთავრობის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მთავრობამ პატივი სცა სამოქალაქო და სამხედრო პირთა სსოვნას, რომლებიც „ტუ-144“ თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ.

შეიარაღებული ძალების მინისტრმა რ. ფალმა აღნიშნა, რომ კატასტროფის მიზეზების გამოსაძიებლად შექმნილია საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კომისიები. „ყველა საშუალება, — ხაზი გაუსვა მინისტრმა, — გადაცემულია მათ განკარგულებაში, რომ გაგუადვილოთ, კერძოდ, იმის გამორკვევა, თუ სად არის „ტუ-114“ თვითმფრინავის ნამსხვრევები, რათა კომისიებს მიეცეთ ინფორმაციის მაქსიმუმი“.

ამ საკითხის გამო მთავრობის სხდომაზე გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ. მან თქვა: „ავიაციის ისტორია — ეს არის აბრეშუმ ზეკის დაპყრობაში ადამიანის რისკის ისტორია“. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ეს ტრაგიკული შემთხვევა „ვერ მიაყენებს ზიანს ზებგერითი ტრანსპორტის მომავალ განვითარებას“.

ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს პარიზში ჩამოვიდნენ საბჭოთა მთავრობის კომისიის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ვ. სმირნოვის მეთაურობით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ პარიზის გარეუბანში ლე-ბურჟეს აეროდრომის მახლობლად „ტუ-144“ თვითმფრინავის კატასტროფის გარემოებებისა და მიზეზების გამორკვევაში.

აეროდრომზე კომისიის წევრებს დახვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენლები, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული საფრანგეთში ვ. ლ. კიზინჩენკო.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დღეს აქ გაიმართა ნატოს ევრეთწოდებული „ევროპის ჯგუფში“ შემავალი დასავლეთ ევროპის 10 ქვეყნის (ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, სახერძნეთი, დანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, თურქეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) თავდაცვის მინისტრების სესია.

შეხვედრის დღის წესრიგი გამოცხადებული არ ყოფილა, მაგრამ, როგორც აქ აღნიშნავენ, ყურადღების ცენტრში იდგა სამხედრო მიზნებისა და შეიარაღების ხარჯების საკითხი.

ამ თვალსაზრისით დღევანდელი სესია შეიძლება ჩაითვალოს თავისებურ მომზადებად ნატოს 14 ქვეყნის თავდაცვის მინისტრების ხვალინდელი სხდომისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, პორტუგალია და ისლანდია. იგივე პრობლემა აღიძრება, ალბათ, ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ხესიაზე, რომელიც მომდევნო კვირაში გაიმართება.

დღეს ბრიუსელში ჩამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯ. შლესინგერმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპელმა პარტნიორებმა უფრო მეტად უნდა „თანამშრომლონ“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რათა უზრუნველყონ სამხედრო ხარჯების ტვირთის უფრო თანაბარზომიერი განაწილება და მდგომარეობა შეუმსუბუქონ ამერიკის საგადამხდელო ბალანსს, რომელიც კვლავ გამწვავდა დოლარის უკანასკნელ სიძნელეებთან დაკავშირებით.

ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). აქ გამოაცხადეს, რომ დანიშნული არიან პრეზიდენტის ახალი თანაშემწეები იმასთან დაკავშირებით, რომ ვადადგნენ თეთრი სახლის მეოცე რიგი პასუხისმგებელი მუშაკები.

პრეზიდენტის თანაშემწედ (თეთრი სახლის აპარატის მეთაურად) დამტკიცებულია ჯენერალი ა. ჰეიგი, რომელიც აქამდე დროებით ასრულებდა ამ მოვალეობას. ამ პოსტზე დანიშვნამდე იგი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე იყო.

შინაგან საქმეებში პრეზიდენტის თანაშემწედ დანიშნულია მ. ლეირდი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი რ. ნიქსონის პირველ მთავრობაში. იგი მონაწილეობას მიიღებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობაში.

პრეზიდენტმა თეთრი სახლის ინფორმაციის საკითხთა დირექტორის ფუნქციები გადასცა თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანს რ. ზიგლერს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). პარიზის ორლი-სიურ-ივეტის გარეუბანში გაიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, დიპლომატიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის ლე დიკ თხოსა და ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ჰ. კისინჯერის მორიგი შეხვედრა. მოლაპარაკების მიზანია განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმების შესრულებას.

ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲗᲘ ᲤᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

თებერვლის ბოლო რიცხვებში სამხრეთ დაკოტის შტატში ინდიელთა ტომმა სიუმ დაიკავა დაბა ვუნდედ-ნი. ეს ადგილი ინდიელებს შემთხვევით არ ამოუტრიალიათ. 1890 წლის 29 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცებმა აქ დახოცეს 200 ინდიელი, რომლებიც შიმშილისა და სიცივისაგან ისედაც სიკვდილის პირას იყვნენ მისული. ინდიელებმა დაბის ეკლესიასთან აღმართეს ბარიკადები იმისათვის, რომ პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ ამერიკის შეერთებული შტატების 800 ათასი მკვიდრი მცხოვრების მდგომარეობას.

**ვუნდედ-ნიში დატრიალებულ ამბებთან დაკავშირებით ინდიელთა მდგომარეობაზე ამეამად ბევრს წერს ამერიკის პრესა. გაზეთები იხსენებენ, რომ ამასწინათ წითელი საღებავი გადაასხეს ნიუ-იორკის ისტორიის მუზეუმის წინ დადგმულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის (1901-1909) დროთა განმავლობაში ფერმეცვლილ ბრინჯაოს ქანდაკებას. ალისფერმა ლაქებმა დაფარა პრეზიდენტის ტანსაცმელი, ცხენის ფაფარი და ინდიელის ფიგურა, რომელსაც მორჩილად უჭირავს ხელში „თეთრი ბატონის“ ცხენის სადავეები. ამერიკელ მოქალაქეთა ჯგუფი — ინდიელთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტები გვიან ღამით მოვიდნენ ძეგლთან და წითელი საღებავი გადაასხეს მას, რომ თანამემამულეთა ყურადღება მიექციათ ინდიელთა უბედურება მდგომარეობისათვის და გაეხსენებინათ, რომ სწორედ თეოდორ რუზველტი იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ტერორის კამპანიისა, რომელიც ინდიელთა წინააღმდეგ გაჩაღდა. უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიულმა პრესამ დიდი შრომა გასწია, რომ ამერიკელებს დაეწყუებოდათ ინდიელთა არსებობა. თითქმის მილიონნახევარზე მეტი ინდიელი გაძევებულია რეზერვაციებში, რომლებიც საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებული დასახლებულ პუნქტებს. აქ ისინი უბადრუკ პირობებში არიან. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამერიკაში არც კი არსებობდეს „ინდიელთა პრობლემა“. ისტორიის სახელმძღვანელოებში, თუ კი სადმე სწერია ინდიელებზე, ისიც მხოლოდ სულელური ლეგენდებია. მაგალითად, ზოგან წერენ, რომ „წითელკანიანი ყაჩაღები თავს დაესხნენ უიარაღო ევროპელთა დასახლებებს“. ამეშეკრულებებზე აწერინებდნენ ხელს, რომელთა შესრულებას „ცივილიზებული“ ამერიკა არც ფიქრობდა. პრესა გვერდს უვლის იგივეთვე ამ ფაქტს, რომ ინდიელებს მშობლიური მიწა-ბიდან ძალით დევნიდნენ შეიარაღებული ბახლიტები, შერეკავდნენ რეზერვაციაში და ბედისანაბრად ტოვებდნენ. შეერთებული შტატების ოფიციალური პროპაგანდა საჭიროდ არ თვლის გ

საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა

უკვე მრავალი თვეა ჩაკეტილია ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და გაცსოველებული თბილისის მაგისტრალი — ვაჟა-ფშაველას პროსპექტი. მაგრამ ამ ლამაზი ქუჩის ცხოვრება არც ერთი დღით არ წყდება: მიმდინარეობს მეტროს მშენებლობა, რომელიც მალე საბურთალოს რაიონს ქალაქის ცენტრს დაუკავშირებს.

და სანამ ეს დიდი მშენებლობა მიმდინარეობს, მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითქოს დაფარა მეორე ასალმშენებლობა — საქართველოს პროფსაბჭოს კავშირთშორისი კულტურის სასახლე. სასახლის მშენებლობა ჯერ მთლიანად არ დამთავრებულა, მაგრამ მისი თანამედროვე ფორმები, ლამაზი მოზაიკური პანო, რომელიმაც თვით ნიკეიროსი მოიყვანა აღტაცებამი, უკვე მტკიცედ შეერწყა პროსპექტის პეიზაჟს.

ახლა ქუჩა სასახლემდე დაკეტილია. მაგრამ თუ თქვენ ვიშრო გასასვლელების ლაბირინთებით მაინც მივალთ სასახლემდე ან ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან შეხედავთ, დიანახავთ, თუ რა გამოცოცხლებია ამ ბოლო ანს აქ. აქ რესპუბლიკის თავრობის გადაწყვეტილებით დროებით შესახლდა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

გადაბიჯენ თუ არა სასახლის კარიბჭეს, მაშინვე მოხვდებით ჯადოსნური მუსიკის სამყაროში. ერთ-ერთ დარბაზში მიმდინარეობს ორკესტრის რეპეტიცია, მეორეში გუნდი მეცადინეობს, მესამეში კონცერტმაისტერები სოლისტებთან მუშაობენ, სასახლის სპორტული დარბაზი ხაბალეტო დასმა დაიკავა. მუშები კი ამთავრებენ ფანჯრების გაწყობას, აფართოებენ ორკესტრის ორმოს, რათა იქ 65 კაციანად შემდგარი ორკესტრი მოთავსდეს.

ყველაფერი, რაც გადაარჩინეს საოპერო თეატრში ხანძრისაგან, უკვე მიტანილია სასახლეში და გარეული სარეკვიზიტო ყუთები რომ არა, რომლებიც მწყობრად ჩაუმწკრივებით კედლების გაყოლებით, აქ არაფერი არ მოგვაგონებს ის საშინელ სტიქიურ უბედურებას, რომელმაც შეიწირა ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა, ქართული ეროვნული საოპერო მუსიკის აკვანი, სადაც პირველად აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ქმნილებანი.

ჩვენ თეატრის დირექტორის, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ირაკლი ბერიძის კაბინეტში ვართ. თეატრში ამ საბედისწერო დღემდე ცოტა ხნით ადრე მოვედი, თქვა მან. მაგრამ საერთო უბედურებამ დაგვაასლოვა ყველა. ასე მგონია, მთელი სიცოცხლე ამ თეატრში ვმუშაობდი-მეთქი.

და განა მარტო თეატრის კოლექტივი შეკავშირდა ამ დღეებში? ი. ბერიძე მაგიდაზე აწყობს ასობით წერილს, რომლებიც გამოგზავნეს ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებმა. ისინი სწერენ, რომ მზად არიან გაიღონ პირადი დანაზოგი, მონაწილეობა მიიღონ მშენებლობაში. რესპუბლიკის ბევრ კოლექტივსა და მთელ რაიონებს სურთ ნოაწყონ შაბათობები და ამ გზით გამომუშავებული ფული გადაირიცხოს აღდგენითი სამუშაოების ფონდში. ოცანიათ დახმარებას გვთავაზობენ კოლეგები დიდი თეატრიდან, ქვეყნის ეროვნული საოპერო თეატრებიდან.

კითხულობ ამ წერილებს და ერთულ კიდევ უფიქრდები ამ უბრალო, მაგრამ ამაგე დროს საოცად გრძნობას — იმას, რასაც პატრიოტიზმი ეწოდება.

ოპერის თეატრის აღსადგენი სახსრები, თქვა ი. ბერიძემ, სახელმწიფომ უკვე გამოიყო, მაგრამ სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ასეთ პატრიოტიზმს იჩენენ.

განსაკუთრებით აგვადელვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენიდან მოსულმა ჰ. ვედეკინდის დეპეშამ. დეპეშაში ცნობილი გერმანელი რეჟისორი, თბილისის სცენაზე ვაგნერის ოპერა „ლოენგრინის“ დამდგმელი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანების გარჯის მეოხებით ძველის ადგილზე უკეთესი თეატრი აღიმართება, რომ იგი კიდევ უფრო განავითარებს შემოქმედებითი თანამეგობრობის იმ დიდ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თბილისსა და საარბრიუკენის თეატრების კოლექტივებმა.

მელოდეთ 10-დან 20 ივნისამდე. გაწყრეს ვედეკინდი. ჭირში მეგობრები ერთად უნდა იყვნენ და მეც მოვიჩქარი.

მთელი ხალხის მხარდაჭერამ ძალა შემატა ჩვენს კოლექტივს, განაგრძობს ი. ბერიძე. ყოველი ჩვენგანის დაძაბულმა შრომამ შესაძლებელი გახადა ის, რომ პირველ სპექტაკლს უკვე ამ თვის დამლევს გავმართავთ. ტრადიციას არც ახლა ვუღალატებთ. პირველი სპექტაკლი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. თავის პირველ სპექტაკლს თეატრის კოლექტივი უძღვნის პროფკავშირთა სასახლის მშენებლებსა და რესპუბლიკის პროფკავშირულ აქტივს, საოპერო თეატრის სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

თეატრის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად სასახლეს მივაშენებთ სამსართულიან დამხმარე ნაგებობას, რომელსაც ახლა ჩვენი თეატრისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. მომავალში კი ეს მინაშენი პროფკავშირების სასახლეს შესაძლებლობას მისცემს თავის სცენაზე მიიღოს საუკეთესო თეატრები, აგრეთვე სასახლეში ჩვენი ყოფნის პერიოდში განაგრძოს თავისი მუშაობა.

როგორც ვიცით, შექმნილია მთავრობის კომისია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. ამ კომისიის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

კომისიამ უკვე რამდენიმე სხდომა გამართა და მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ახლა წამყვანი ქართველი არქიტექტორები და მშენებლები ბჭობენ დამწყარი შენობის შემდგომ ბედზე. როგორ მოაწყონ უფრო სწრაფად და უკეთ აღსადგენი სამუშაოები.

ვსარგებლობ შემთხვევით, თქვა ი. ბერიძემ, რათა ჩვენი კოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზაციასა და კერძო პირს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებმაც ასეთი გულისხმიერება გამოიჩინეს ჩვენი თეატრის ბედისადმი.

პროფკავშირთა სასახლესთან გამაგალი ქუჩა გადაკეტილია. მაგრამ გახსნილია ხალხის გული, რომელიც ყოველდღე საუკეთესოს, უსურვებს ქართული ეროვნული საოპერო მუსიკის პირმშოს, რუსული და ევროპული კლასიკური და თანამედროვე ოპერის საუკეთესო მიღწევათა პროპაგანდისტს, და ამიტომ, ეჭვი არ არის, რომ ახალ შენობაში გამართულ თეატრის პირველ და ყველა მომდევნო სპექტაკლზე მოვა ყველა, ვისთვისაც იგი ძვირფასია, ვისაც ახე სწადია მისი დახმარება.

ლ. გაგუა,
(საქინფორმის კორ.).

ქომკავშირული გაზეთების ფურცლებზე

ახალგაზრდა კომუნისტი

Молодежь Грузии

შეჯიბრება, შრომა, ძიება

ამოწავლეთა საწარმოო საქმიანობა ახალგაზრდობის პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამიტომ მოახლოებული შრომითი სემესტრი დიდ ამოცანებს აკისრებს რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ფურცლავთ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ ბოლო თვეების ნომრებს და ხელშესახებად გრძნობთ იმ სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას, რასაც ახლა ეწევიან საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები. არდადეგების დროს სტუდენტთა და მოსწავლეთა ნაყოფიერი შრომისათვის. ამ მიზნით გაზეთის ფურცლებზე გამოვიდნენ კომკავშირის აპარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. სარიშვილი, გეგეჭკორის, წყალტუბოს, მახარაძის, ვანის, დუშეთის, ზუგდიდის, წითელწყაროს, საჩხერის რაიკომების პირველი მდივნები ნ. ჩიქოვანი, მ. ქუთელია, ნ. ზაქარიაძე, ჯ. კერძეკაძე, ფ. ფრიდონაშვილი, გ. ფიფია, ა. ალიკოშვილი, თ. ტრაპაიძე, კომკავშირის თბილისისა და გორის საქალაქო კომიტეტის მდივნები მ. გოჩალიშვილი და მ. აბუაშვილი.

ფართოა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სარბიელი. მაგრამ თუ სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ეს ჯერჯერობით არ ითქმის სრულიად ახალ საქმეზე — მეცხრე ხუთწლეულის მესამე წლის დაგაკვნთა შესრულებაში უფროსკლასელთა შრომითს მონაწილეობაზე, რომელიც ბევრ დიდ თუ პატარა საზრუნავთან არის დაკავშირებული.

— რაიონის საუალო და რვაწლიან სკოლებში,—ნათქვამია კომკავშირის დუშეთის რაიკომის პირველი მდივნის ფ. ფრიდონაშვილის წერილში, — შექმნილია უფროსკლასელთა 34 საწარმოო ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებულია 1.200 მოსწავლე. ზაფხულის არდადეგების პერიოდში ისინი თავიანთი სოფლების კოლმეურნეობებში დაამუშავებენ სიმინდის ნათესებს, აიღებენ მოსავალს, მთის ზონის მოსწავლეები დაამზადებენ პირუტყვის ხაკვებს, გავლენ სახაფხულო იალაღებზე, იზრუნებენ ხათიბ-საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებაზე.

წინა წლებზე გაცილებით მეტია წყლს სტუდენტთა და უფროსკლასელთა სამუშაო ფრონტი საზაფხულო არდადეგების პერიოდში. მათ მარტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა შეასრულონ დაახლოებით 6 მილიონი მანეთის სამუშაოები. ამიტომ არის, რომ გაზეთის ყოველ ნომერში გვხვდება მოწოდების სიტყვები: „ზაფხულ სამეურნეო სამუშაოებში. მაგრამ აუცილებელია გაზეთმა შრომითი სემესტრის პერიოდშიც არ შეასუსტოს ყურადღება ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი.

ამიტომ დღის წინათ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა „ჭიათურმრეწველიების“ სტატისტიკ ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთასამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის წევრთა მოწოდება რესპუბლიკის ყველა კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივისადმი.

— ჩვენი ცვლის წევრებმა, — ნათქვამია იყო მასში, — გადავწყვიტეთ მივმართოთ რესპუბლიკის ყველა კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივს მოწოდებით — დამამთავრებლად გამოვაცხადოთ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელი. იმისათვის, რომ ჩვენმა ცვლამ პირნათლად შეასრულოს ის მაღალი ვალდებულება, ომკავშირულ კრებაზე დავადგინეთ: დამკვრელურად გამოვაცხადოთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ყოველი დღე, 110-120 პროცენტით შეასრულოთ ცვლის ნორმა, წელს გეგმით გათვალისწინებული 58.500 ტონის ნაცვლად ამოვიღოთ 64.350 ტონა მაღაროსარისხოვანი ნედლეული.

ათი პუნქტისაგან შემდგარი ეს დადგენილება ითვალისწინებს ადრეთვე სამაგრი მასალების ეკონომიას, ამოღებული მადნის ხარისხის დიფერენციალ გაუმჯობესებას, ჩამორჩენილი ბრიგადებისადმი მუდმივ დახმარებას, მუშათა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას და სხვ.

გაზეთის იმავე ნომერში თვით ცვლის უფროსი ჯ. ბახტურიძე ჯერ-ლად მოუთხრობდა მკითხველს თავისი ქვეგანაყოფის შრომითს საქმიანობაზე.

უკვე მომდევნო პუბლიკაციებმა ამცნო მკითხველს ის მოწონება და მხარდაჭერა, რომლითაც შეხვდნენ ჯ. ბახტურიძის ცვლის მიმართვას რესპუბლიკის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივში. ამ პატრიოტულ თაოსნობას პირველნი გამოეხმაურნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხ. ნიკოლაიშვილი, ვეების პროდუქტების მცხეთის კომბინატის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. ტატიშვილი, დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ხელმძღვანელი ნ. ადეაშვილი. ამას მოჰყვა ახალგაზრდა აბაშელი მეჩაიეებისა და ხაშურელი მეცხოველეების, თბილისელი ჩარხშენებლებისა და მჭსოველების, მშენებლებისა და მძღოლების წერილები.

რედაქცია აფრთხილებს, ასწავლის, რჩევას აძლევს ახალგაზრდებს: „ხანამ სიტყვას მისცემდე, აუცილებელია სერიოზულად იფიქრო“, „ავითვისოთ წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა“ და „ბრძოლა წარმატების აუცილებელი პირობაა“ და სხვ.

საინტერესო იყო კომკავშირელთა ძველი გვარდიის წარმომადგენლების — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ჯ. კუპრაძისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მ. ყავრელაშვილის წერილები „გავეფრთხილდეთ სამშობლოს ღირსებასა და დიდებას“, „თქვენ უნდა განაგრძოთ მამების საქმე“, რომლებიც ჯაჭოს გუშინწინდელ ნომერში დაიბეჭდა.

ეჭვი არ არის, რომ ჯ. ბახტურიძის თაოსნობის მიმდევრებს ახალ ძალებს შემატებს გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციის მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისათვის დაწესებული 7 პრემია, რომლებიც გასული ხუთწლედების გმირთა სახელს ატარებს.

„ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

გაღამებული მობინაძრეები

რედაქციას უპასუხებს ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი ტყიბულში წულუკიძის ქუჩისა და ბინების კეთილმოწყობის შესახებ.

ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. გიორგობიანმა გვაცნობა, რომ წერილში დასახელებული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

წულუკიძის ქუჩის კეთილმოწყობის, წყალსადენისა და განათების ქსელის შეკეთების საკითხები განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ქალაქის კომუნალურ საწარმოთა კომბინატს და ცენტრალურ ხაბინაო კანტორას დაევალათ წულუკიძის ქუჩის კეთილმოწყობა შეეტანონ 1974 წლის გეგმაში, წელს კი გაუკეთონ მიმდინარე რემონტი.

რა დავაშავეთ?

რედაქციას უპასუხებს დიღმის სასოფლო საბჭოს აღმასკომი

„ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ხელმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების დროზე მიუტანლობის ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით დიღმის სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები ᲮᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ შეეფერება.

დიღმის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გაზეთების დამტარებელთა შტატი დაკომპლექტა მთლიანად.

მიღებულია ზომები ხელისმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების დროულად ჩაბარების უზრუნველსაყოფად.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲪᲐᲪᲢᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲜᲘᲨᲜᲔᲗ

ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ორჯონიკიძის რაიონის № 2 საარჩევნო უბნის აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს ჯერ კიდევ ბევრი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ. ზუსტდება ამომრჩეველთა სიები, ეწყობა შეხვედრები, საუბრები. ისინი ხალხის შუაგულში ტრიალებენ და განუმარტავენ მშრომელებს მომავალი არჩევნების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა რაიონული საბჭოს არჩევნების № 2 საარჩევნო უბანში გადაიღო. მასზე აღბეჭდილი არიან საარჩევნო უბნის ახალგაზრდა აგიტატორები: მარცხნიდან — რ. ღომინაძე, ლ. ბეზარაშვილი, დ. ბუმბერაშვილი, მ. კვირიკაშვილი და ლ. კვირკველია.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲣᲚᲑᲘᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲐ

ქართველი ერისა ვინ ძალმიტომ
ᲛᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ!

ᲖᲐᲚᲕᲐ ᲤᲝᲠᲩᲮᲘᲫᲔ

ᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ

გაზაფხული მოიმღერის
ვაზის მწვანე ხატებად,
მოაქვს ჩემი გმირი ხალხის
ავსება და მატება!

სხვაა ჩემი სულის სწრაფვა,
ჩემი თავდავიწყება,
ცაზე ბედის ვარსკვლავების
მწკრივად ამობრწყინება...

ჩემო ხალხო, სიცოცხლეო,
მზე შენა და ხარება!
მომილოცავს, მოსახვნელი
მოხნეს შენმა ხარებმა!

გასხლეს ვაზი გასასხვლელი,
ყამირს ტეხდნენ ვაჟები,
ჩვენ ოდითგან სიბერემდე
შრომის ეშხით ვკაჟდებით!

გწამდეთ, წლეულს დაუთიბავ
მინდვრებს ვერ მოვშორდები,
რუსთაველზე მწიფე ყანებს
ვით უმღერებს პოეტი?!

ჩავუქროლებ ფონიჭალას,
ალგეთს მიდგას კარავი,
რბილ სავარძელს და ხალიჩას
მე არა ვთხოვ არავის, —

დავემხობი მკერდით მიწას,
მესმის თესლის ფიჩუნი,
თავთავდასხმულ ხოდაბუნებს
უბრად როგორ ჩავუვლი!

ამ შრომაში, ძმებო, ჩემი,
მკლავიც, მუხლიც სანდოა,
ხოჯორმი და იალუჯა
ჩემი სანავარდოა!

ხან მარაბდას, ხანაც წერაქვს
მინდა თქვენებრ ვიფრინო,
შრომის ჰანგებს ავადევნო
ჩემი თეთრი ბამინო...

გაზაფხული მოიმღერის
ვაზის მწვანე ხატებად...
წლეულს კიდევ უფრო მეტი
ავსება და მატება!..

ᲩᲐᲜᲒᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲚᲐᲚᲘ ᲔᲘᲡᲘ...

საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებავ ხორცშესხმულო,
გაუმარჯოს შენს მხნეობას,
შენს ხელახლა დაბადებას,
მეგობრობის ნიჭო სრულო,
სიყვარულის აზავთებავ,
შენი მზე არ დაემსობა,
სიცოცხლე არ გათავდება!

საქართველოვ, საქართველოვ,
უკვდავებად გაფოთლილო,
მთებო, — ლურჯო კიდობნებო
ფასკუნჯებად აფოფრილნო,
გაუმარჯოს, ვინც რომ დღემდე
შენთვის დასდო თავი თვისი,
ვინც რომ დღესაც შენთვის იღვწის,
ჩანგი ჩემი ალალ მისი!

საქართველოვ, საქართველოვ,
სიხარულის მწვანე ხეო,
მზეო, — წრფელი, ცხელი გულის
სიყვარულის გრძელო დღეო,
გაუმარჯოს, ვისაც შენთვის
სიცოცხლე და ბრძოლა შვენის,
ვინც გაშენა, გაღორძინა,
გული მისი ალალ შენი!

საქართველოვ, საქართველოვ,
დამღალე, არ დამასვენო,
წარსულ დღეთა შეჭირვება
მეტი აღარ გამახსენო,
სიხარული გამიმრავლე,
მადღეგრძელე ღიმილმჩენი,
თუ დაგჭირდე, ნუ დამზოგავ, —
თავი ჩემი ალალ შენი!

საქართველოვ, საქართველოვ,
მდუღარებავ ქვის და კირის,
ვინაც თვითონ არ იკვეხნის,
ვისი საქმეც თვითონ ყვირის,
ვის უწმინდეს სიწრფოებას
ხალხის გულში უდგას ძირი,
ვისაც მხოლოდ ბრძოლა შვენის,
შენთვის დასდო თავი თვისი,
გული მისი ალალ შენი,
ჩანგი ჩემი ალალ მისი!..

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲕᲔᲑᲡ

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმზე

გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მე-6 პლენუმი. პლენუმმა განიხილა ერთიანი სტუდიის მიერ 1972 წელს შექმნილი კინოფილმები.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ხ. დოლიძემ.

გასულ წელს, თქვენ პლენუმის მონაწილეებმა, რესპუბლიკისა და ქვეყნის ეკრანებზე „ქართული ფილმის“ სტუდიის ბევრი კინოსურათი გადიოდა. ზოგმა მათგანმა მაყურებელთა დიდი მოწონება დიიმსახურა. „ჩვენი დღეების ჰერო

პირველი აფხაზი რომანისტი

ი. პაპასკირის დაბადების 70 წლისთავის გამო

აფხაზური პროზის, განსაკუთრებით რომანის ჟანრის, შექმნასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ივანე პაპასკირის — პირველი აფხაზი რომანისტის შემოქმედებამ. მწერალი-კომუნისტი ი. პაპასკირი ერთი იმ ლიტერატორთაგანია, რომლებიც მუდამ წინა ხაზზე არიან, თავიანთ ნაწარმოებებში ახორციელებენ ეპოქის ნიშნებს, ხანამდელის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ი. პაპასკირის პროზაში მკაფიოდ და ძლიერად ჟღერს ჩვენი სოციალისტური საქმიანობის ნამდვილი პათოსი. მისი რომანები („თემირი“, „ქალის ღირსება“, „ერეკახუს ძირთან“), რომლებიც იძლევიან საბჭოთა ეპოქის აფხაზური სინამდვილის რეალისტურ ასახვას, განსხვავდებიან მრავალგვარიანი ადნაკრობით, მოქმედ პირთა ფსიქოლოგიის ასახვით, ამბების დაწერილებითი აღწერით. ივანე პაპასკირი ცნობილია თავისი მოთხრობებითაც.

უნდა ითქვას, რომ ოცდაათიანი წლები, როცა ი. პაპასკირი ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა, გარდატეხის პერიოდი იყო აფხაზური ლიტერატურის განვითარებაში. სოციალისტური შინაარსობით შობილი თემებისა და სახეების სიმდიდრე მოითხოვდა მხატვრულ განსხორციელებას დიდ ეპიკურ ტილოებში.

„თემირი“ (1937 წ.) ფაქტიურად პირველი რომანია აფხაზურ ლიტერატურაში. რომანის ფურცლებიდან წარმოგვედგება აფხაზეთის სოფლის კოლექტივიზაციის წლები. ამ, ავტორი გვიჩვენებს ძირეულ გადატრიალებას ეკონომიურ ყოფაში, ადამიანთა ურთიერთობებსა და ადამიანურ ფსიქიკაში. ეს ცვლილებანი ასახულია ოჯახებისა, რომელიც გამარჯვებული გამოდის ცხოვრების ბრძოლაში, ოცდაათ თვეს ეიერსებას და ძლევას ბედის მთელ უკუღმართობას. გაბედული და დამბიზავებული მთელი ქალიდან, რომელიც უნდობლად, შიშით შესულერის სოციალისტურ გარდაქმნებს სოფლად, როგორსაც საიდას რომანის დასაწყისში ვხედავთ, იგი იქცევა ამ ახალი ცხოვრების შეგნებულ, აქტიურ მშენებლად და დამცველად.

ი. ვ. პაპასკირი „ქალის ღირსებაში“ ერთგული რჩება თავისი მიდრეკილებისა მწვავე დრამატული კონფლიქტებისადმი, რომლებითაც ხასიათდება მისი წინა რომანი და მრავალი მოთხრობა და ნოველა, სადაც ლაპარაკია აფხაზი გლეხების ცხოვრებაზე რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მწერალი უნარიანად ქმნის მრავალპლანიან დინამიკურ სიტყვებს, მკაფიო სურათებსა და სახეებში დამაჯერებლად გადაგვაშლის ცხოვრების ფართო პანორამას.

ი. პაპასკირის წიგნები, მეტადრე მისი რომანი „ქალის ღირსება“, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის მკითხველთა საზოგადოებრიობაში. მწერლის მისამართით მკითხველებისგან მოდის ასობით და ათასობით წერილი, სადაც გამოთქმულია მხურვალე მადლობა ავტორისა და გამომცემლობისადმი კეთილი, ჭკვიანი ნაწარმოებების გამო, რომლებმაც გააძდიდრა მათი სულიერი სამყარო.

ი. პაპასკირის დიდი დამსახურება აფხაზური და საერთოდ მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. მწერალი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებითა და საპატიო სიგელებით. 1967 წელს რომან „თემირისა“ და მოთხრობათა კრებულისათვის მას მიენიჭა რესპუბლიკური ლიტერატურული პრემია, — დ. ი. გულიას სახელობის დიპლომი. შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად ი. პაპასკირი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. არაერთგზის იყო არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ამჟამად არის ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. და აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის ბიუროს წევრი.

ი. პაპასკირი განუწყვეტლივ შიმოქმედებითს ძიებაშია. სულ ცოტა ხნის წინათ მწერალმა წარმოება გადასცა მნიშვნელოვნად გადამუშავებული პირველი წიგნი რომანისა „ერეკახუს ძირთან“. ახლა მუშაობს მის მეორე ნაწილზე. ამის პარალელურად დაამთავრა მუშაობა ისტორიულ მოთხრობათა ციკლზე, რომლებიც მოგვითხრობენ რევოლუციამდელ აფხაზეთზე.

შ. სალაყია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ლენინგრადის საფრონტო-საკრებულო

ოქრო ლიდერი ეროვნულში

უკვე სამი წელია გროსმაისტერები კორჩნოი სპორტულ ველებზე გამოდის ყველა ტურნირში, სადაც ... ახალგაზრდა მოკადრაკე არც ახლა ... ლენინგრადელ ... ...